ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1058532

ნომერი: AR1182221

თარიღი : 04.12.2013

გაცემის თარიღი : 25.12.2013

გაცნობის თარიღი : 26.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო აბსანძე პ/ნ 01009014528
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. კორ. 19 ბ. 15

ორგანიზაცია:

- NGS Group კოდი: 406073895

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 აგვისტოს #847502 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 4 დეკემბერს #AR1182221 განცხადებით მომართა ნინო აბსანძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 15 აგვისტოს გამოცემული #847502 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2013 წლის 15 აგვისტოს #847502 ბრძანებით ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, (სექტორი მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ.დავითაშვილი) ქ. #47–ში, შ.პ.ს. "NGS Group"–ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანებაში, კერძოდ, შეცდომით იქნა დათვლილი საპროექტო შენობის განაშენიანების ფართობი და ნაცვლად 1464,0 კვ.მ–სა მითითებული იყო 14640.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს ნინო აბსანძის 2013 წლის 4 დეკემბრის #AR1182221 განცხადება.

2.შევიდეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 აგვისტოს გამოცემულ #847502 ბრძანებაში. კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობის ციფრობრივ მაჩვენებელად 14640–ის ნაცვლად დაფიქსირდეს 1464,0 კვ.მ.

3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 15 აგვისტოს #847502 ბრძანებასთან ერთად.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.